06 08	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის	66700	54000	45000	0

	სფეროში				
	ხარჯები	66700	54000	45000	0
25	სუბსიდიები	66700	54000	45000	0
06 08 01	სსიპ –ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქ. კავშირი	66700	54000	45000	0
	ხარჯები	66700	54000	45000	0
25	სუბსიდიები	66700	54000	45000	0
06 09	პროფესიული განათლება	76364	96424	60360	0
	ხარჯები	76364	96424	60360	0
25	სუბსიდიები	76364	96424	60360	0
	არაფინანსური აქტივები	0	0	0	0
06 09 01	სსიპ– სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება – ქ. სოხუმის დ. არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი	51900	65540	35040	0
	ხარჯები	51900	65540	35040	0
25	სუბსიდიები	51900	65540	34040	0
	არაფინანსური აქტივები	0	0	0	0
06 09 02	სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება – ქ. სოხუმის ალ. შერვაშიძე-ჩაჩხას სახელობის სამხატვრო სასწავლებელი	24464	30884	25320	0
	ხარჯები	24464	30884	25320	0
25	სუბსიდიები	24464	30884	25320	0
06 10	სხვა არაკლასიფ. საქმ. განათლების სფეროში	54798	65800	69930	0
	ხარჯები	54798	65800	69930	0
25	სუბსიდიები	54798	65800	69930	0
	არაფინანსური აქტივები	0	0	0	0
06 10 01	ჭარმონიული განვითარების ცენტრი	0	0	0	0
	ხარჯები	0	0	0	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	0	0	0	0
06 10 02	სსიპ –კინოცენტრი „აფხაზეთი“	54798	65800	69930	0
	ხარჯები	54798	65800	69930	0
25	სუბსიდიები	54798	65800	69930	0
	არაფინანსური აქტივები	0	0	0	0

**1. (06 03 01) სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა 20960 ლარი:**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ეგიდით სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრებებისა და წვრთნის პროცესის ხელშეწყობა: ტურნირების, სამშვიდობო სპორტული ფესტივალების ჩატარება. დევნილ მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის პოპულარიზაცია. გათვალისწინებულია აფხაზეთის სახელით მოასპარეზე ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენა და მათი მხარდაჭერა.

**2. (06 03 03) კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა 53750 ლარი:**

პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს აფხაზეთის კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის წარმოჩენას; აფხაზეთის თემატიკასთან დაკავშირებული წიგნების, სასაჩუქრე ალბომებისა და ბუკლეტების გამოცემას; ქვეპროგრამის ფარგლებში თემატური გამოფენების ორგანიზებას.

**3. (06 03 04) საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერის პროგრამა 250000 ლარი:**

პროგრამის მიზანია რადიომაუწყებლობის რეჟიმში აფხაზეთის თემაზე ორიენტირებული საკითხების წარმოჩენა. მაუწყებლობა ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს მოსახლეობისათვის (მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე).

პროგრამა ხელს შეუწყობს აფხაზეთის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. მომზადდება საგანმანათლებლო და ანალიტიკური სახის პროგრამები, შემეცნებითი და გასართობი გადაცემები, ღია ეთერში გაიმართება დისკუსიები და ფორუმები, რომელიც ხელს შეუწყობს სახალხო დიპლომატიის გაძლიერებას და კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას.

**4. (06 03 06) განათლების ხელშეწყობის პროგრამა 46150 ლარი:**

პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდებთან და მოსწავლეებთან მუშაობას სამშვიდობო განათლებისა და კულტურის დანერგვის, პროფესიული კონსულტაციისა და დასაქმების მიმართულებით; აფხაზეთის საჯარო სკოლებში სახელობო მომზადებასა და შემოქმედებითი ინიციატივების ხელშეწყობას; ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერას; მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის სხვადასხვა ღონისძიებებისა და კონფერენციების ორგანიზებას.

**5. (06 03 07 ) გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება 97440 ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს გალის რაიონში მოქმედი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მხარდაჭერას. პედაგოგებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე გაიცემა დახმარება თვეში 100 ლარის ოდენობით, ხოლო ტექნიკურ მუშაკებზე – 80 ლარის ოდენობით.

**6. (06 03 08 ) აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა 36000 ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის მეცნიერების მიერ სხვადასხვა სფეროში ჩატარებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების მხარდაჭერას;

**7. (06 03 09 ) ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა 51000 ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს თბილისის ხელოვნების სკოლებში მოსწავლე, აფხაზეთიდან დევნილი ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლების დაფინანსებას.

**8. (06 03 11 ) ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა 4780 ლარი:**

პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობას, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების სულიერების ამაღლებას. გათვალისწინებულია საბავშვო და ახალგაზრდული კულტურული, სამეცნიერო, სპორტული და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების მხარდაჭერა ამგვარ ღონისძიებათა მოწყობის საქმეში.

**9. (06 03 12 ) სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პროგრამა 22700 ლარი;**

პროგრამის მიზანს წარმოადგენს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებისა და ზოგადად დევნილი მოსახლეობის ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის ხელშეწყობა ინფორმაციის მიწოდებისა და განათლების კუთხით, აგრეთვე კონფლიქტის ზონაში არსებული კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ქართულ სივრცესთან დაახლოების ხელშეწყობა, აღნიშნული კატეგორიის საგანმანათლებლო დაწესებულებების დასავლურ ღირებულებებთან დაახლოება.

**განათლებისა და კულტურის სამინისტროს პრიორიტეტები და**

**ძირითადი მიმართულებები**

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ზოგადი განათლების სფეროში და სამშვიდობო განათლების პოლიტიკის განხორციელება აფხაზეთის საჯარო სკოლებში და დევნილ ახალგაზრდებში, ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის ორგანიზება, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების

ცენტრის ხელშეწყობა ეროვნული შეფასებების განხორციელებაში. ოკუპირებული ტერიტორიის პედაგოგებისათვის საგნობრივი ტრენინგების პროგრამების განხორციელება, საგანმანათლებლო რესურსცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-აღმზრდელობით სფეროში დასაქმებულთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;

სამშვიდობო განათლების, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის, პროფესიული განათლების და მთელი ცხოვრების განმავლობაში საბაზო კომპეტენციების დაუფლების პროგრამების განხორციელებაზე ხელშეწყობა;

ინოვაციური პროგრამების განხორციელებისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით, სახელმწიფო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზოგადოებრივ ასოციაციებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება.

პროფესიული ხელოვნების დარგების (თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, კინო, ქორეოგრაფიული) განვითარების სტრატეგიის შემუშავება, პროფესიონალ შემოქმედთა, ინდივიდუალურ შემსრულებელთა და შემოქმედებითი კოლექტივების (საგასტროლო და საკონცერტო, საკონკურსო და საფესტივალო, საგამოფენო და ა.შ.) მოღვაწეობა, ხელშეწყობა და მოღვაწეობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა;

აფხაზეთის სახელოვნებო ფუნქციონირების ხელშეწყობა.

კულტურულ - გასართობი და შემეცნებითი პროექტების განხორციელება აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური ჩართულობისა და ინტეგრაციის მიზნით. ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი ჯგუფების მხარდაჭერა. დევნილ ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების მხარდაჭერა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.

ლიტერატურული და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობისა და ამ მიზნით პროგრამების, წინადადებების, გეგმების შემუშავება; ხალხური ხელოვნების დანერგვის (ქორეოგრაფია, მუსიკა, თეატრი, სახვითი, ზეპირსიტყვიერება, ხალხური რეწვა, ფოლკლორულ - სანახაობითი) დაცვა-განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

აფხაზეთის ძირძველი მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი პოპულარიზაცია, ამ მიზნით სპეციალური გამოცემების, ვებ-გვერდების, ფილმების მომზადება;

შესაძლებლობების ფარგლებში აფხაზეთში არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებათა განხორციელება და მათი ხელშეწყობა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა, მისი შესწავლისა და მოვლა-პატრონობის მეთოდოლოგიის შემუშავება;

სამშვიდობო განათლებისა და კულტურის უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის ორგანიზება-კოორდინაციაზე ზრუნვა;

სამინისტროს მართვის სფეროში ინფორმაციული სისტემების დანერგვის ხელშეწყობი პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და განხორციელება;

მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებითი უნარების გადამცემის უზრუნველყოფა;

ბავშვთა და ახალგაზრდების საქმეთა სფეროში სამთავრობო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენების (ქართული და აფხაზური) განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

სამინისტროს საინფორმაციო საჭიროებებიდან გამომდინარე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზის დადგენა.

ახალგაზრდა შემოქმედთა და მეცნიერთა, განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის მიზნით პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების უზრუნველყოფა.

**მუხლი 19. მინისტრის აპარატი განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში**

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში ასიგნებების მოცულობა 381840 ლარის ოდენობით, სადაც გათვალისწინებულია მუშა- მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 315410 ლარი, რომელიც მოიცავს საპრემიო ფონდს;

ლარი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
07 00	მინისტრის აპარატი განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში	366905	415310	381840	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	29	29	29	0
	ხარჯები	366335	401360	378690	0
21	შრომის ანაზღაურება	307081	341130	315410	0
22	საქონელი და მომსახურება	57389	60230	63280	0
25	სუბსიდიები	1865	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	570	13950	3150	0
07 01	მინისტრის აპარატი განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აპარატი	365040	415310	381840	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	29	29	29	0
	ხარჯები	364470	401360	378690	0
21	შრომის ანაზღაურება	307081	341130	315410	0
22	საქონელი და მომსახურება	57389	60230	63280	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	570	13950	3150	0
07 02	დევნილთა დასაქმების ხელმშეწყობის სემინარების პროგრამა	1865	0	0	0
	ხარჯები	1865	0	0	0
25	სუბსიდიები	1865	0	0	0

**განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში მინისტრის აპარატის პრიორიტეტები და**

**ძირითადი მიმართულებები**

- აფხაზეთში სამოქალაქო სექტორის განვითარების მხარდაჭერა;
- აფხაზეთში ადამიანის უფლებების დაცვა;
- აფხაზეთში ეკოლოგიური საფრთხეების პრევენცია;
- აფხაზეთსა და ქართველებს შორის პროფესიული ურთიერთობების მხარდაჭერა;
- აფხაზეთში საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გავრცელების სტიმულირება;
- აფხაზეთიდან დევნილების სამოქალაქო აქტივობის ამაღლება;
- აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის პრობლემატიკის კვლევა.

**მუხლი 20. მინისტრის აპარატი ზემო აფხაზეთის საკითხებში**

განისაზღვროს მინისტრის აპარატის ზემო აფხაზეთის საკითხებში ასიგნებების მოცულობა 198950 ლარის ოდენობით, სადაც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 150330 ლარი, რომელიც მოიცავს საპრემიო ფონდს;

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	ლარი			მ.შ. კრედიტები და გრანტები
		2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	
08 00	მინისტრის აპარატი ზემო აფხაზეთის საკითხებში	158220	175980	198950	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	9	10	11	0
	ხარჯები	156947	174480	197450	0
21	შრომის ანაზღაურება	118980	133960	150330	0
22	საქონელი და მომსახურება	36264	40520	47120	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	1703	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	1273	1500	1500	0

**ზემო აფხაზეთის საკითხებში მინისტრის აპარატის პრიორიტეტები და**

**ძირითადი მიმართულებები**

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სახელმწიფოს მიერ შემენილ საცხოვრებელ ფართებში ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ადგილზე შესწავლა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო პირობების, სოციალური კატეგორიის შესწავლა და მათი ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოების მონიტორინგი. ინფორმაციის დამუშავება-ანალიზი და შესაბამის ორგანოებისთვის მიწოდება, ასევე საინფორმაციო ბაზის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოების მონიტორინგი, მათი ინტეგრაცია სოციალური დახმარების სახელმწიფო სისტემაში;

ზემო აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების შემოსავლის ოდენობის შესწავლა (დევნილებთან შეთანხმებით), უმუშევარ დევნილთა რაოდენობის დადგენა და სპეციალობის მიხედვით მათი კლასიფიცირება;

საქართველოს მთავრობის განკარგულება №403 „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ სხვადასხვა ცვლილებების გაცნობა დევნილი მოსახლეობისათვის ეტაპების მიხედვით. დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, სადაც ჩასახლებულები არიან ზემო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა. მათთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ კანონის გაცნობა, დევნილთათვის იურიდიული მომსახურების გაწევა და კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით;

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დევნილთა პროფესიული განათლებისა და გადამზადების, მათი ეკონომიკური ინტეგრაციის გააქტიურებისა და დასაქმების ხელშეწყობა. ზემო აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდობის ჩართვა გაცვლით პროგრამებში; საქმიანი ურთიერთობების დამყარება სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ზემო აფხაზეთიდან დევნილების ჰუმანიტარული თუ სხვა სახის დახმარების მიზნით.



**მუხლი 21. მინისტრის აპარატი რეგიონული მართვის საკითხებში**

განისაზღვროს მინისტრის აპარატის რეგიონული მართვის საკითხებში ასიგნებების მოცულობა 369930 ლარის ოდენობით, სადაც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 231790 ლარი, რომელიც მოიცავს საპრემიო ფონდს;

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	ლარი			
		2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
09 00	მინისტრის აპარატი რეგიონული მართვის საკითხებში	264868	292315	369930	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	16	17	18	0
	ხარჯები	261624	278695	309930	0
21	შრომის ანაზღაურება	214353	225635	231790	0
22	საქონელი და მომსახურება	47271	53060	78140	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	3244	13620	60000	0

**რეგიონული მართვის საკითხებში მინისტრის აპარატის**

**პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებები**

კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში განსახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლისა და ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოების მონიტორინგი.

დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ადგილზე შესწავლა, ინფორმაციის დამუშავება-ანალიზი და ზემდგომი ორგანოებისთვის მიწოდება.

აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემის მონიტორინგი, დახმარების მიმღებ ბენეფიციართა განსაზღვრა.

დევნილთა რეაბილიტირებული კომპაქტური ობიექტების ტექნიკური მაჩვენებლების (ე.წ. „პასპორტიზაციის“) შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება და მასთან დაკავშირებული ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა.

აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოქალაქეების სამხედრო-სავალდებულო და სამხედრო-სარეზერვო სამსახურში აღრიცხვა-გაწვევის ორგანიზაციების მოქცევა კანონმდებლობის ჩარჩოში.

**მუხლი 22. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი**

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ასიგნებების მოცულობა 343360 ლარის ოდენობით, სადაც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 253110 ლარი, რომელიც მოიცავს საპრემიო ფონდს;

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	ლარი			
		2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
10 00	იუსტიციის დეპარტამენტი	324990	362940	343360	0

ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	25	25	25	0
	ხარჯები	323495	360190	341160	0
21	შრომის ანაზღაურება	259262	272580	253110	0
22	საქონელი და მომსახურება	61493	83910	88050	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	2740	3000	0	0
28	სხვა ხარჯები	0	700	0	0
	არაფინანსური აქტივები	1495	2750	2200	0

### იუსტიციის დეპარტამენტის პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებები

სამართალშემოქმედება და ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის სამართლებრივ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმიანობის განხორციელება, აგრეთვე საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

იუსტიციის დეპარტამენტი შეიმუშავებს იმ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებს, რომლებიც ეხება იუსტიციის დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს.

სამართალშემოქმედებითი პროცესის შემდგომი სრულყოფა და აფხაზეთის ნორმატიული ბაზისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა.

აფხაზეთის საარქივო საქმის განვითარების მიზნით დეპარტამენტი შეიმუშავებს პერსპექტიულ-მიზნობრივ პროგრამებს, სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების და ორგანიზაციების არქივების მუშაობის ორგანიზების სრულყოფისთვის განახორციელებს მათ ნორმატიულ და მეთოდურ უზრუნველყოფას.

### მუხლი 23. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ასიგნებების მოცულობა 387680 ლარის ოდენობით, სადაც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 296140 ლარი, რომელიც მოიცავს საპრემიო ფონდს;

ლარი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
11 00	დევნილთა საქმეების დეპარტამენტი	554579	420170	387680	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	31	31	31	0
	ხარჯები	553579	401670	385280	0
21	შრომის ანაზღაურება	299343	319970	296140	0
22	საქონელი და მომსახურება	127891	81700	89140	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	126345	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	1000	18500	2400	0

### დევნილთა საქმეების დეპარტამენტის პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებები

- დევნილთა უფლებების უზრუნველსაყოფად სტანდარტული პროცედურებისა და დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბება კოლექტიური ცენტრებიდან განსახლების ან ალტერნატიული ფართის შეთავაზების პროცესში;
- დევნილი მოსახლეობისათვის „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ გაცნობა ეტაპების მიხედვით;
- დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში გასვლა და დევნილი მოსახლეობისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ კანონის გაცნობა, დევნილთათვის იურიდიული მომსახურების გაწევა და კონსულტაციები;
- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა;
- საცხოვრებელი ფართობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა;
- დევნილთა სოციალური კატეგორიის შესწავლა, ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი ინტეგრაცია სოციალური დახმარების სახელმწიფო სისტემაში;
- დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მათი ინტეგრაციის ხელშეწყობით;
- დევნილი ოჯახების შემოსავლის ოდენობის შესწავლა (დევნილებთან შეთანხმებით), უმუშევარ დევნილთა რაოდენობის დადგენა და სპეციალობის მიხედვით მათი კლასიფიცირება;
- სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დევნილთა პროფესიული განათლებისა და გადამზადების, მათი ეკონომიკური ინტეგრაციის გააქტიურებისა და დასაქმების ხელშეწყობა. დევნილი ახალგაზრდობის ჩართვა გაცვლით პროგრამებში;
- კოლექტიურ ცენტრებზე საინფორმაციო ბანკის შექმნა კატეგორიების მიხედვით, მონაცემები მათი შემდგომში დაკანონებისა და დახურვის შესახებ;
- საქმიანი ურთიერთობების დამყარება სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აფხაზეთიდან დევნილების ჰუმანიტარული თუ სხვა სახის დახმარების მიზნით.

**მუხლი 24. სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი**

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის ასიგნებების მოცულობა 691400 ლარის ოდენობით.

მათ შორის:

სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის აპარატის ასიგნებების მოცულობა 489300 ლარის ოდენობით, სადაც გათვალისწინებულია მუშა- მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 422760 ლარი, რომელიც მოიცავს საპრემიო ფონდს;

აფხაზეთის სატყეო სამმართველოს ასიგნებების მოცულობა 192100 ლარის ოდენობით, სადაც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 150930 ლარი, რომელიც მოიცავს საპრემიო ფონდს;

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	ლარი			
		2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
12 00	სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი სულ	724517	745211	691400	0
კვ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	68	66	66	0
	ხარჯები	721506	732211	690300	0
21	შრომის ანაზღაურება	598762	628824	573690	0
22	საქონელი და მომსახურება	100526	93387	106610	0
25	სუბსიდიები	10546	10000	10000	0

27	სოციალური უზრუნველყოფა	11672	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	3011	13000	1100	0
12 01	სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი	367891	510237	499300	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	33	46	46	0
	ხარჯები	365879	497237	498200	0
21	შრომის ანაზღაურება	319165	435797	422760	0
22	საქონელი და მომსახურება	43424	51440	65440	0
25	სუბსიდიები	0	10000	10000	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	3290	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	2012	13000	1100	0
12 01 01	სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის აპარატი	367891	500237	489300	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	33	46	46	0
	ხარჯები	365879	487237	488200	0
21	შრომის ანაზღაურება	319165	435797	422760	0
22	საქონელი და მომსახურება	43424	51440	65440	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	3290	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	2012	13000	1100	0
12 01 02	ინვაზიური და სხვა სახის დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების პროგრამა	0	10000	10000	0
	ხარჯები	0	10000	10000	0
25	სუბსიდიები	0	10000	10000	0
12 02	საქვეუწყებო დაწესებულება – აფხაზეთის სატყეო სამმართველო	195410	201210	192100	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	20	20	20	0
	ხარჯები	194411	201210	192100	0
21	შრომის ანაზღაურება	150435	162540	150930	0
22	საქონელი და მომსახურება	37116	38670	41170	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	6860	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	999	0	0	0
12 03	საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის	161216	33764	0	0

	სამმართველო სულ				
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	15	0	0	0
	ხარჯები	161216	33764	0	0
21	შრომის ანაზღაურება	129162	30487	0	0
22	საქონელი და მომსახურება	19987	3277	0	0
25	სუბსიდიები	10546	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	1521	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	0	0	0	0
12 03 01	საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამმართველოს აპარატი	150670	33764	0	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	15	0	0	0
	ხარჯები	150670	33764	0	0
21	შრომის ანაზღაურება	129162	30487	0	0
22	საქონელი და მომსახურება	19987	3277	0	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	1521	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	0	0	0	0
12 03 02	ცხოველთა არაგადამდებ დაავადებებთან ბრძოლის პროგრამა	10546	0	0	0
	ხარჯები	10546	0	0	0
25	სუბსიდიები	10546	0	0	0

### სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებები

– გალის რაიონის და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განსახლებული, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული დევნილი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებაში, მათი უზრუნველყოფა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით, შესაძლებლობის ფარგლებში.

– დევნილი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა მცირე ბიზნეს პროექტების შემუშავებაში და მათი პრაქტიკული განხორციელება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების ფინანსური ხელშეწყობით. აგროსასურსათო სექტორში მოსალოდნელი პროექტების შესახებ დევნილთა ინფორმირება, დევნილ მოსახლეობაში არსებული ბიზნეს საქმიანობის მონაცემთა ბაზის შექმნა და მათი სტიმულირება.

– გალის რაიონში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კომპაქტურად ჩასახლებული მოსახლეობისათვის ვეტერინარული მომსახურების გაწევა, მცენარეთა დაცვის საშუალებების კონტროლი და საკარანტინო ზედამხედველობის გატარება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა წინააღმდეგ ღონისძიებების ჩატარება.

– კომპაქტურად ჩასახლებული დევნილთა ეკოლოგიური პრობლემების მონიტორინგი, გეოინფორმაციული სისტემის პროგრამისათვის მასალების მოძიება.

- აფხაზეთის სატყეო დარგში არსებული პრობლემების შესწავლა და პროგნოზირება ადგილობრივ, საერთაშორისო სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მათი დახმარება.

**მუხლი 25. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში**

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ასიგნებების მოცულობა 612840 ლარის ოდენობით, სადაც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 409010 ლარი, რომელიც მოიცავს საპრემიო ფონდს;

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	ლარი			
		2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
13 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში	591323	619260	612840	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	49	49	49	0
	ხარჯები	590036	617760	610340	0
21	შრომის ანაზღაურება	421779	440380	409010	0
22	საქონელი და მომსახურება	99823	107380	111330	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	68434	70000	90000	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	1287	1500	2500	0
13 01	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში	525323	549260	522840	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	49	49	49	0
	ხარჯები	524036	547760	520340	0
21	შრომის ანაზღაურება	421779	440380	409010	0
22	საქონელი და მომსახურება	99823	107380	111330	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	2434	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	1287	1500	2500	0
13 02	დევენილთა სოციალური დაცვა	66000	70000	90000	0
	ხარჯები	66000	70000	90000	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	66000	70000	90000	0

**მუხლი 26. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა იმერეთ, რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის, გურიის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში**

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის იმერეთ, რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის, გურიის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასიგნებების მოცულობა 382960 ლარის ოდენობით, სადაც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 240550 ლარი, რომელიც მოიცავს საპრემიო ფონდს;

ლარი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
14 00	მთავრობის წარმომადგენლობა იმერეთ, რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის, გურიის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	345953	363301	382960	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	27	27	27	0
	ხარჯები	344453	362101	368460	0
21	შრომის ანაზღაურება	245545	258391	240550	0
22	საქონელი და მომსახურება	57608	63460	67910	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	41300	40000	60000	0
28	სხვა ხარჯები	0	250	0	0
	არაფინანსური აქტივები	1500	1200	14500	0
14 01	მთავრობის წარმომადგენლობა იმერეთ, რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის, გურიის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	305953	323301	322960	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	27	27	27	0
	ხარჯები	304453	322101	308460	0
21	შრომის ანაზღაურება	245545	258391	240550	0
22	საქონელი და მომსახურება	57608	63460	67910	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	1300	0	0	0
28	სხვა ხარჯები	0	250	0	0
	არაფინანსური აქტივები	1500	1200	14500	0
14 02	დევნილთა სოციალური დაცვა	40000	40000	60000	0
	ხარჯები	40000	40000	60000	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	40000	40000	60000	0

**მუხლი 27. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოში**

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის აღმოსავლეთ საქართველოში ასიგნებების მოცულობა 630440 ლარის ოდენობით, სადაც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 452260 ლარი, რომელიც მოიცავს საპრემიო ფონდს;

ლარი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	მ.შ. კრედიტები და გრანტები
--------------------	------------	-----------------	-----------------	-----------------	----------------------------

15 00	მთავრობის წარმომადგენლობა ად. საქართველოში	600428	647610	630440	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	52	52	52	0
	ხარჯები	595931	645610	615440	0
21	შრომის ანაზღაურება	458456	482430	452260	0
22	საქონელი და მომსახურება	64475	70930	73180	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	73000	92250	90000	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	4497	2000	15000	0
15 01	მთავრობის წარმომადგენლობა ად. საქართველოში	527428	557610	540440	0
ეკ. კლ.	მომუშავეთა რიცხოვნობა	52	52	52	0
	ხარჯები	522931	555610	525440	0
21	შრომის ანაზღაურება	458456	482430	452260	0
22	საქონელი და მომსახურება	64475	70930	73180	0
25	სუბსიდიები	0	0	0	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	0	2250	0	0
28	სხვა ხარჯები	0	0	0	0
	არაფინანსური აქტივები	4497	2000	15000	0
15 02	დევნილთა სოციალური დაცვა	73000	90000	90000	0
	ხარჯები	73000	90000	90000	0
27	სოციალური უზრუნველყოფა	73000	90000	90000	0

**მუხლი 28. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების – სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში; იმერეთ, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის, გურიის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში; აღმოსავლეთ საქართველოში მიზნები, ამოცანები და ფუნქციები:**

დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური დონისა და პატრიოტული სულისკვეთების შენარჩუნება და ამაღლება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის ისეთი ფორმების გამონახვა, რომელიც უზრუნველყოფს დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის, დევნილთა შესახებ მიღებული სამართლებრივი აქტების ცხოვრებაში გატარებას, წინადადებების მომზადებას ადგილობრივი და სხვა ორგანოების მიერ სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად. დევნილთა და განსახლების სამინისტროსათვის ქმედითი დახმარების გაწევა, დევნილთა სტატისტიკური მონაცემების დაზუსტებისა, მათთვის ჰუმანიტარული და სხვა დახმარებების გაწევის საკითხებში.

ა) დევნილი მოსახლეობის ინტერესების დაცვის მიზნით, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის, უცხოეთის, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ბ) შრომისუნარიანი დევნილი მოსახლეობის დასაქმების ორგანიზება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, შესაბამისი პროგრამების და აფხაზეთში დაბრუნების პერსპექტივის გათვალისწინებით. დევნილ ახალგაზრდობასთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

გ) დევნილი მოსახლეობის შეხვედრების ორგანიზება საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

დ) დევნილი მოსახლეობის უფლებების ყოველმხრივი დაცვა;

**დევნილთა სოციალური დაცვა – 240000 (ორას ორმოცი ათასი) ლარი (სოციალური**



**უზრუნველყოფა (13 02), (14 02), (15 02)) განკუთვნილია შემდეგი კატეგორიებისათვის:**

- I ჯგუფის ინვალიდებზე – 100 ლარი;
  - მეორე მსოფლიო ომის ინვალიდებზე – 100 ლარი;
  - მარჩენალდაკარგულებზე – 100 ლარი;
  - ომში დაღუპულთა ოჯახებს – 100 ლარი;
  - დედ-მამით ობოლ არასრულწლოვანებზე (თითოეულზე) – 100 ლარი;
  - ოთხი და მეტი არასრულწლოვან შვილიან ოჯახებზე – 100 ლარი;
  - 100 წელს გადაცილებულებზე – 100 ლარი;
  - უნარშეზღუდულ ბავშვებზე და ბავშვობიდან ინვალიდზე – 100 ლარი;
  - სხვა მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე – კომისიური გადაწყვეტილებით არა უმეტეს 200 ლარისა, პროგრამის მოცულობის 10%-ის ფარგლებში.
- ერთჯერადი დახმარებების გაცემის წესი განისაზღვრება მთავრობის მიერ.

## **თავი VI**

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის 9 თებერვლის კანონი №1 - ვებგვერდი, 13.02.2012 წ.*

### **მარეგულირებელი ნორმები**

#### **მუხლი 29. სარეზერვო ფონდი**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია მთავრობის სარეზერვო ფონდი 200000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად.

2. სარეზერვო ფონდიდან თანხებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხების ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს აფხაზეთის ფინანსთა სამინისტრო.

#### **მუხლი 30. თანამდებობრივი სარგოები, პრემიები, დანამატები და დახმარებები**

1. უფლება მიეცეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებს, დეპარტამენტისა და წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების, აპარატების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხები და თანამდებობრივი სარგოები განსაზღვრონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოებს განსაზღვრავს მთავრობის თავმჯდომარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოებს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო უმაღლეს საბჭოსთან არსებული ორგანიზაციები – უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებას საჭიროებს აგრეთვე ცვლილებები დამტკიცებულ საშტატო ნუსხებსა და თანამდებობრივ სარგოებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განხორციელებული ცვლილებების შედეგად უცვლელი რჩება საშტატო რიცხოვნება, თანამდებობათა დასახელებები და თანამდებობრივი სარგოები.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მხარჯავ დაწესებულებებს უფლება აქვთ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულება გაავრცელონ მხოლოდ იმ მოსამსახურეებზე, რომლებზედაც 2006 წლის 1 იანვრამდე ვრცელდებოდა აღნიშნული მუხლის მოქმედება.

4. 2012 წლის განმავლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებზე პრემიების, კანონმდებლობით დადგენილი დანამატებისა და დახმარებების გაცემა განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

5. ამასთანავე, მხარჯავი დაწესებულებები უფლებამოსილი არიან გაზარდონ მათთვის წლიური ბიუჯეტის ეკონომიკური შრომის ანაზღაურების მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არა უმეტეს ამავე მუხლით დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა.

6. დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ბიუჯეტის დამტკიცებამდე აღმასრულებელი ხელისუფლება უფლებამოსილია მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცეს თანხები არა უმეტეს გასული წლის ასიგნებების 1/12 –ის ოდენობისა;

დაუშვებელია ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურების გაცემა შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის გარეშე;

### **მუხლი 31. წლის განმავლობაში მიღებული ფულადი გრანტები და მიზნობრივი დაფინანსება**

სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვა და ხარჯვა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით.

### **მუხლი 32. წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა**

აღნიშნული ფონდიდან ხორციელდება წინა წლების სახელფასო და სხვა კრედიტორული დავალიანებების, კომპენსაციების და სასამართლო გადაწყვეტილებათა საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულებებისა და მიმდინარე რეორგანიზაციის დაფინანსება, რომლის განკარგვა განხორციელდება ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე დავალიანების დასაფარავად.

წინა წლების დავალიანებების დაფარვისათვის ამ კანონით დამტკიცებული ასიგნებებიდან თანხების გამოყოფის მიზნით სამინისტროებმა და უწყებებმა 2012 წლის განმავლობაში უზრუნველყონ მათ ბალანსზე რიცხული წინა წლების კრედიტორული დავალიანების დაზუსტებული ინფორმაციის წარდგენა აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროში.

ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული ახალი დავალიანებების წარმოშობა, რაზედაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

## **მუხლი II**

ეს კანონი ამოქმედდეს 2012 წლის 1 იანვრიდან.

**აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე     გ. ბარამია**

**ქ. თბილისი**

**2011 წლის 23 დეკემბერი**

**№7**

### **შეტანილი ცვლილებები:**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის 9 თებერვლის კანონი №1 - ვებგვერდი, 13.02.2012 წ.